



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 13

ქ.ბათუმი

23/01/2020

13-06-4-202001231445



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არქივის დამუშავებისა და სისტემატიზაციის საკითხებში, (IIIრანგი) ოთარი ქართველიშვილისათვის მოხელის კლასის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის, 58¹-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, „პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის 2017 წლის 28 აპრილის №219 დადგენილების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და ამავე დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეფასების შედეგების გათვალისწინებით, მიენიჭოს მოხელის I კლასი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო დაწესებულების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის არქივის დამუშავებისა და სისტემატიზაციის საკითხებში, (IIIრანგი) ოთარ ქართველიშვილს.
2. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს უზრუნველყოს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საკლასო დანამატის (თანამდებობრივი სარგოს 1%) გაცემა 2020 წლის 01 იანვრიდან.
3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს საკრებულოს მეორად სტრუქტურულ ერთეულს - საქმისწარმოების განყოფილებას.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნადიმ ვარშანიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

